„ტროას ცხენი“

გაზეთ „ქართული ფილმის“ 15 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ბატონ ზვიად გამსახურდიას წერილი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად იგი გაზეთის რედაქციას საყვედურობდა საქართველოში დიდი ჰესების მოწყობის პრობლემების იგნორირებას. „ქართული ფილმის“ რედაქცია „ოპერატიულად“ გამოეხმაურა ზ. გამსახურდიას კრიტიკას და 22 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა მიხეილ ლოლობერიძის წერილი „ფაცაფუცით ჰიდროენერგეტიკული და მასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები არ მოგვარდება“.

ბატონი მიხეილ ლოლობერიძე ცნობილია, როგორც ერთ-ერთი თავგამოდებული „ეკოკრატი“ ყველამ იცის, თუ რა განუზომლად დიდია მისი დამსახურება ტრანსკავკასიის მაგისტრალის მშენებლობის შეჩერების საქმეში. ცნობილია, აგრეთვე, მისი მაღალკვალიფიციური სტატიები საქართველოში დიდი წყალსაცავების მოწყობის მიზანშეუწონლობის შესახებ. აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით გაზეთის რედაქციის მხრივ სავსებით ობიექტური ჩანს ეკოლოგიის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტისათვის ტრიბუნის დათმობა. მაგრამ, სამწუხაროდ, გაზეთ „ქართული ფილმის“ რედაქცია აქაც ერთ „პატარა ეშმაკობას“ მიმართავს, აგრძელებს რა ზვიად გამსახურდიასა და ეროვნული მოძრაობის მისთვის არასასურველ დაჯგუფებებთან ფარული ბრძოლის ტაქტიკას.

საქმე ისაა, რომ ბატონი მიხეილ ლოლობერიძე, რომელიც თავის ადრეულ სტატიებში თავგამოდებით იცავდა თეზისს დიდი წყალსაცავების მავნებლობის შესახებ, „ქართულ ფილმში“ დაბეჭდილ სტატიაში (უფრო ადრე გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში) ილაშქრებს საქართველოს მინისტრთა საბჭოს ხუდონჰესის ლიკვიდაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ. იგი ამ გადაწყვეტილებას უწოდებს ნაუცბა- …

… ბერიძეც წერს „ქართულ ფილმში“ დაბეჭდილ სტატიაში: „სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ჩვენში ენერგეტიკის პრობლემების შემსწავლელი კომისია არაერთხელ შექმნილა სხვადასხვა დონეზე, მაგრამ მათ მუშაობას ყოველთვის უწყებრივი ინტერესები ბოჭავდა. ასე გრძელდება დღესაც“. ამის მაგალითად ბატონ მ. ლოლობერიძეს მოაქვს ის ფაქტი, რომ ქართული საზოგადოების საყოველთაო აღშფოთების მიუხედავად, საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დღემდე ვერ შელევიან მინაძეჰესის წყალსაცავის იდეას. ამდენად, ბატონ მ. ლოლობერიძის აღშფოთება ხუდონჰესის მშენებლობის ლიკვიდაციის გამო სავსებით უადგილოა და ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს „უჩემოდ ვით იმღერეთას“ ქართული კომპლექსი. ყოველ შემთხვევაში მე მინდა, ეს იყოს ბატონი მიხეილის განაწყენების ერთადერთი მიზეზი, მით უმეტეს, რომ ხუდონჰესის მომხრეთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქ. ჯვარში აქციის მონაწილენი ერთ-ერთ ძლიერ არგუმენტად მის სტატიებს იყენებდნენ.

სამწუხაროდ, გაზეთ „ქართულ ფილმში“ დაბეჭდილ სტატიაში არის ადგილი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ბატონი მიხეილი მხოლოდ „გონიერი ტექნოკრატია“ და მეტი არაფერი. მხედველობაში გვაქვს მისი წერილის ის ადგილი, სადაც იგი მსჯელობს ხუდონჰესის ალტერნატიულ ვარიანტზე, რომლის განხორციელ- …

… ხდა მისი მშენებლობის შეჩერება. მაგრამ რაც განაც უკვე ვერაფერს ვუშველით, არაფერს ვამბობთ იმ ზიანზე, რომელიც ენგურჰესმა მოგვიტანა: შავი ზღვის სანაპიროს წალეკვა და ზღვის შემოტევა, რომელიც ალბათ, მალე ქალაქ ფოთს წაგვართმევს, ზღვიდან თევზის, მათ შორის უძვირფასესი ჯიშების — ორაგულისა და ზუთხის, გასამრავლებლად ენგურის ხეობაში შემოსვლის შეწყვეტა, ენგურს გაღმა სამეგრელოში, სადაც გარკვეული მიზეზების გამო თითოეულ ქართულ ოჯახს თვალისჩინივით უნდა ეფრთხილდებოდეთ, უხარისხოდ აშენებული სადერივაციო გვირაბიდან გამოჟონილი წყლების მიერ 5 სოფლის დამეწყვრა და გადასახლება, ენგურის ხეობის ტაბორების ზონაში უძვირფასესი ხეების ბარბაროსული გაჩეხვა, ჰაერის ტენიანობის მკვეთრი ამაღლება და მიკროკლიმატის შეცვლა — აი იმ უბედურებათა არასრული ნუსხა, რაც ამ „სანუკვარ“ კილოვატსაათებს გამოდევნებულებს თავს დაგვატყდა.

ბატონ მიხეილს, ალბათ, კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ მათ, ვინც მთავრობას მიაღებინა გადაწყვეტილება ხუდონჰესის ლიკვიდაციის შესახებ, ეკოლოგია ვიწრო გაგებით არ აინტერესებდათ. სავსებით ნათელია, რომ ენგურის წყალსაცავმა უკვე შეცვალა სვანეთის ხეობის მიკროკლიმატი და ხუდონის წყალსაცავი აქ უკვე უმნიშვნელო ცვლილებებს შეიტანდა. მთავარი ისაა, რომ არაფრით არ შეიძლება ასეთი დიდი მშენებლობის შეტანა ასეთ ერ- …

… ხეილ, არა გვაქვს არავითარი გარანტია, რომ ეს კილოვატსაათები საქართველოს მოხმარდება. განა დასაჯერებელია ტელევიზიით საქენერგოს წარმომადგენლის ნათქვამი, რომ თურქეთს დენი სტავროპოლიდან მიეწოდება, მაშინ როცა იქვე აცხადებს, რომ სტავროპოლიდან მომავალი ელექტროგადამცემი ხაზი ზამთრობით პრაქტიკულად გამოსულია წყობილებიდან და არ ფუნქციონირებს. ენგურში წყალი სწორედ ზამთარში მცირდება და არა გაზაფხულსა და ზაფხულში. დავფიქრდეთ იმაზეც, განა ივლისის დღეებში, როცა არაფორმალებმა ენგურჰესი გამორთეს, მეორე დღესვე მოსკოვიდან ოთხი სხვადასხვა დელეგაცია იმისთვის ჩამოვიდა, არა, საქართველო სიბნელეში ზისო?! დარწმუნებული იყავით იმაშიც, რომ როცა დადგება საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის საკითხი, ცენტრი ამ დიდ მშენებლობაზე მის მიერ დახარჯული სახსრების ანაზღაურებას მოგვთხოვს და სამართლებრივ პრეტენზიებს წამოგვიყენებს, რომლისგანაც ძალზე გაჭირდება თავის დაღწევა.

ხუდონჰესის მშენებლობის ლიკვიდაციის შესახებ მთავრობის გადაწყვეტილების მიღების შემდეგაც ჩვენს პრესაში გრძელდება იმის დაჟინებით მტკიცება, რომ საქართველოს მძიმე ენერგეტიკული ვითარება აუცილებლად მოითხოვს ხუდონჰესის მშენებლობის გაგრძელებას. ეს წერილები მხოლოდ ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევა რომ არ იყო, დადასტურდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს უკანასკნელ სესია- …

… ნებათა ლიდერებმა ხუდონჰესის ლიკვიდაციასთან ერთად მთავრობას მოსთხოვეს, მიეღო გადამწყვეტი ზომები მუშა-მოსამსახურეთათვის ალტერნატიული სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ. ეს პირველ რიგში რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტს უნდა შეესრულებინა, მაგრამ ახლა ცხადი ხდება, რომ იქ ამისათვის თითსაც არ გაანძრევდნენ, რადგან, თურმე, დღემდე ელაციცებიან ხუდონჰესის მშენებლობის გაგრძელების იდეას. ალტერნატიული სამუშაოს მიუცემლობაში არის იმის ბოროტი განზრახვაც, რომ მუშა-მოსამსახურეები არაფორმალებს დაუპირისპირონ. ეს სცადა კიდევაც ენგურჰესის ხელმძღვანელობამ სექტემბერში გამართულ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, არაფორმალებთან დაპირისპირების ნაცვლად, მუშა-მოსამსახურეებმა დაუფარავად ამხილეს ის უამრავი ნაკლოვანება, რომლებიც ენგურჰესის ხელმძღვანელობას აქვს. ესაა, უპირველესად, რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში ბინების აშენება, რომლებიც უკანონოდ განაწილდა და სადაც 70% არაქართული მოსახლეობა შესახლდა. ესაა კორუფცია, რის შესახებ აშკარად ლაპარაკობდნენ სამმართველოს წინ გამართულ მიტინგებზე, და ბოლოს, ესაა ხალხში მოარული ხმები, ხუდონჰესის მშენებლობის მძიმე ფინანსურ გარღვევებზე, რაც, პირველ რიგში, საგეგმო კომიტეტს უნდა გაეკონტროლებინა.

ღმერთმა ქნას, რომ ყველაფერი ეს უსაფუძვლო იყოს. მაგრამ ყოველი პატიოსანი ადამიანი, როგორც ენგურჰესის ხელმძღვანელობიდან, ასევე საზოგადოებიდან, ვალდებულია მოითხოვოს ობიექტური კომისია, რომელიც გააქარწყლებს, ანდა დაადასტურებს ამ ხმებს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შეიქმნას საზოგადოებრივი კომისია, რომელშიც ოფიციოზთან ერთად შევლენ სახალხო ფრონტის, რუსთაველის საზოგადოების, არაფორმალურ გაერთიანებათა წარმომადგენლები.

თვის ყოვლად გაუმართლებელი. ბატონ მიხეილ ლოლობერიძის ასეთი მეტამორფოზა ერთი შეხედვით გაუგებარი ჩანს, თუმცა, როგორც ყველაფერს ამ ქვეყნად, მასაც თავისი მიზეზები აქვს.

ამ მიზეზების გასაგებად საჭირო იქნება გავიხსენოთ, თუ როგორ მოხდა ხუდონჰესის ლიკვიდაციის შესახებ დადგენილების მიღება. ქართული საზოგადოებისათვის დღემდე ცნობილი არ არის, რომ მინისტრთა საბჭოს ეს დადგენილება იყო შედეგი ქ. ჯვარში ენგურჰესის სამმართველოს წინ ადგილობრივი პატრიოტი ახალგაზრდების თავგანწირული ბრძოლისა, რომელთაც მხარს უჭერდა მთელი მოსახლეობა. წმინდა ილია მართლის საზოგადოების ჯვარის ფილიალის და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრები, სვანი ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად 9 დღეს შიმშილობდნენ, რათა მიეღწიათ ასეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის (მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ამ აქციის შესახებ პირში წყალი ჩაიგუბეს. თვით პატივცემულ ქალბატონს ნაირა გელაშვილსაც, რომელმაც საზოგადოებას აცნობა, თუ როგორ ემუქრებოდნენ ტელეფონით ხუდონჰესის მშენებლობით დაინტერესებული ძალები, რატომღაც გამორჩა ორიოდე სიტყვით მაინც აღენიშნა ეს ფაქტი. არადა თუკი ვინმეს სიცოცხლეს ემუქრებოდა საფრთხე, ეს მხოლოდ აქციის მონაწილეებისას). ამ აქციის ორგანიზატორები გადაჭრით აცხადებდნენ, რომ ის კომისია, რომლის შემადგენლობაში იყო ბატონი მიხეილ ლოლობერიძეც, ეკოლოგიური ექსპერტიზის ნებისმიერი შედეგების შემთხვევაშიც კი ვერ შეძლებდა ხუდონჰესის მშენებლობის ლიკვიდაციას, იმდენად დიდი იყო მისი მშენებლობით დაინტერესებულ პირთა ძალა. თვითონ ბატონი მიხეილ ლოლო-

[illegible]

ქ. ჯვარში წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მიერ მოწყობილი აქცია ვერ მიიღებდა ისეთ ფართო მასშტაბებს და ასეთ შედეგს ვერ მოიტანდა, თუ არა ადგილობრივი მოსახლეობის საყოველთაო აღშფოთება ენგურჰესის ხელმძღვანელობის მიერ ათეული წლების მანძილზე დაშვებული შეცდომების გამო. მათ აღშფოთებაში შენივთდა ყველაფერი — მშობლიური კუთხის ბუნების გაჩანაგება, ვინ იცის, საიდან ჩამოთესილ გაზულუქებულ ბოგანოთა მხრივ დამცირება, დემოგრაფიული ვითარების გაუარესება, ქართული ენის შევიწროება და დამცირება, ამის გამო იძულებული გადასვლა რუსულ ენაზე, რაც ზოგიერთმა სულსწრაფმა ქართველმა მოღვაწემ კუთხურ პარტიკულარიზმს მიაწერა. თვით ადგილობრივი მცხოვრებნიც კი, რომლებიც ენგურჰესის მშენებლობაზე მუშაობენ, მოითხოვენ, შეწყდეს ჰიდრომშენებელთა „მოღვაწეობა" ამ მხარეში. (ზნეობრივად რამდენად მაღლა დგანან ეს ადამიანები ბატონ ივერი ფრანგიშვილზე, რომელმაც საქართველოს უმაღლესი საბჭოს უკანასკნელ სესიაზე ცინიკურად განაცხადა, რომ ეკოლოგიურად დამაბინძურებელ მშენებლობათა მახლობლად მცხოვრებლებს უნდა მიეცეთ დამატებითი შეღავათები, რათა ასე „მოსყიდულებმა" ხელი აღარ შეუშალონ მავნე მშენებლობათა პროექტებსო. ამ განცხადებაში გვაქვს მეცნიერის მორალური უპასუხისმგებლობის, მეცნიერებისა და ზნეობის გათიშვის კლასიკური ნიმუში. რას ვიზამთ, ასე იცის „დიდი ქვეყნის დიდი მეცნიერების სამსახური").

ჩვენდა საბედნიეროდ, ხუდონჰესის მშენებლობის დაწყება ე. წ. საჯაროობის პერიოდს დაემთხვა. ამდენად შესაძლებელი გა-

[illegible] სვანეთის, სოციალურ ფსიქოლოგიაში დადასტურებული ფაქტია, რომ ასეთ მიკროსისტემებში უეცრად შეჭრილი ახალი ურთიერთობანი შეუქცევად სულიერ დეგრადაციას იწვევენ. ტრადიციული ცხოვრების წესი ვერ უძლებს ერთბაშად თავს დატყდომას, მისთვის უცხო ზნე-ჩვეულებებს და ილუპება. აბორიგენი მოსახლეობის ბედი ახალ ცივილიზაციათა შეჭრის შედეგად ამის უხვ მაგალითებს გვაძლევს. არსებობს მთელი რიგი ფსიქოლოგიური გამოკვლევები ამის შესახებ. ხუდონჰესის მშენებლობის შედეგად გათვალისწინებული იყო ხაიშის ზონაში, სოფელ იდლიანთან 5 ათასიანი არაქართული მუშათა დასახლების დაარსება, სამხედრო ნაწილის ჩამოყვანა მშენებლობაში სამუშაოდ, პატიმართა კოლონიის შექმნა და ა. შ. თუ რა შედეგებს მოუტანდა ყოველივე ეს ამ კუთხეს, ამის განსჯა მკითხველისათვის მომინდვია, მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ — ხუდონჰესის მშენებლობის ერთ-ერთ ხელშესახებ შედეგად ადგილობრივი მცხოვრებლები უკვე ასახელებენ ახალგაზრდებში ნარკომანიის მკვეთრ ზრდას.

სწორედ ამის გაუთვალისწინებლობა გვაფიქრებინებს, რომ თვით ბატონი მიხეილიც ვერ გათავისუფლებულა ტექნოკრატული ტენდენციებისაგან და ჰუმანიტარის მიზნისა და ღირებულების კატეგორიები უცნობი დარჩენილა მისთვის. სამწუხაროა ისიც, რომ მის ავტორიტეტს ასე ოსტატურად იყენებენ გარკვეული წრეები თავიანთი მიზნებისათვის. არადა ჩემთვის, ბატონო მიხეილ, სვანური ტრადიცია, სვანური ფერხული, მარტო სოფელ ლახამულას ულამაზესი ბუნება, სვანი კაცის ამაყი კეთილშობილება მილიონჯერ უფრო ძვირფასია, ვიდრე მთელი ეს ვინ იცის, ვისთვის და რისთვის დახარჯული კილოვატსაათები. არც თქვენ და არც მე, ბატონო მი-

[illegible] რთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ო. ვარძელაშვილმა ფუქსავატური უწოდა მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და მოითხოვა მისი შეცვლა. მანვე წაიკითხა ენგურჰესის მშენებელთა სახელით დაწერილი მიმართვა, სადაც რვაათასიანი კოლექტივის და მათი ოჯახის წევრების უსახსროდ დარჩენაზე აპელირებით მოითხოვენ მშენებლობის გაგრძელებას. არადა, არაფორმალურ გაერთია-

იქნებ, ამ კომისიის გამო[illegible]ევის შედეგებმა დაუცხროს ბრძოლის ჟინი „ქართული ენერგეტიკისათვის მებრძოლ რაინდებს".

თემურ ფიფია,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერ მუშაკი.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდში.

რედაქციისაგან: ავტორის მიერ დასმული საკითხის გარშემო ჩვენი პოზიცია, ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისათვის ზოგადად ცნობილია. ვცდილობდით და ვცდილობთ შეძლებისამებრ სრულად წარმოვაჩინოთ საქართველოში გიგანტურ მშენებლობებთან დაკავშირებული მწვავე საკითხები. ჩვენი კორესპონდენტების თუ გარეშე ავტორების მრავალი უტყუარი ცნობაც გამოუქვეყნებელი მოგვეპოვება. ამიტომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი და მწერალ ნაირა გელაშვილის, ეკოლოგიის დარგში ჩვენი უმწვავესი პუბლიკაციების ავტორის პოზიცია ენგურჰეს-ხუდონჰესის გარშემო ერთნაირია — პრინციპულად უარყოფითი და კიდევ, იმაზეც უნდა ითქვას ხაზგასმით, რომ ხუდონჰესის მშენებლობის შეწყვეტა, მარტო ერთ დღეს და ერთ აქციას, სახელდობრ, ენგურისპირეთის მოსახლეობის ერთი ნაწილის ცხრადღიანი შიმშილობის შედეგად არ მომხდარა. ამ თავისთავად მნიშვნელოვან აქციას წინ უძღოდა მრავალშვილიანი დედების შიმშილობა მესტიაში, სვანი ჭაბუკების მჯდომარე თანადგომა ხაიშში, და, რა თქმა უნდა, საგანგებო ეკოლოგიური, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ახალი თაობის გეოლოგთა, გეოფიზიკოსთა და სეისმოლოგთა ახლებური დაკვირვებანი და დასკვნები, დიდი ეკოლოგიური მიტინგები თბილისში (4. III. 1989.) და ჯვარში (5. VI. 1989), რომელთა მომზადებასა და წარმართვაში სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებულ ეკოლოგიურ ასოციაციას, და სახელდობრ, მისი საკოორდინაციო საბჭოს აქტიურ წევრს მწერალ ნაირა გელაშვილს ლომის წილი უდევს.

და კიდევ — ვფიქრობთ, ავტორის პოზიცია ზედმეტად მკაცრია გაზეთ „ქართული ფილმის" მიმართ.